

რომელსაც თავის პიროვნებაში აქვს ეს ორი სხვადასხვა პოლუსი? როგორ შეიძლება მოხდეს მათი გამთლიანება?“

ამ პიესის გმირის შინაგანი კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როდესაც მისი ბრძანება ინგლისური მიუახლოვოს სრულყოფილების დონეს სრულდება, ვინაიდან ის წერს ამ ენაზე და მათ მოაქვთ გარკვეული წარმატება საზოგადოებასთან ინტეგრაციის გზაზე, რომელიც თითქმის მისია. მაგრამ როგორ უნდა მოექცეს პროტოგონისტი ლიტვურ ენას, მის ლიტვურ გამოცდილებას, რომელიც დღემდე არის მისი თვითცნობიერება? შეუძლებელია ამის გადაშლა, მაგრამ ისიც ძნელია, რომ ის შეუთავსოს თავის ახალ, უფრო ძლიერ იდენტობას. მისი ორი იდენტობის შეჯახება ამოუხსნელი და გადაუჭრელია. პიესა მთავრდება ჭადრაკის იაკობისა და იოკუბასის თამაშით, რომლებიც სიმბოლურად განასახიერებენ ორ იდენტობას. პრობლემა წარმოდგენილია ინტელექტუალური თამაშით, მაგრამ მის პიესაში ავტორი არ აკეთებს მინიშნებას მისი შესაძლებელი შედეგის შესახებ.

თანამედროვე ლიტვურ დრამას ახასიათებს მგრძობელობა ჩვენს პატარა ქვეყანასთან და ენასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. იდენტობის ძიება თავისი მრავალი ვარიაციებით ზემოაღნიშნულ პიესებში მჭიდროდ არის დაკავშირებული მათთან. თუმცა, ისინი ასევე წარმოდგენილია როგორც უნივერსალური კონფლიქტების ახსნის მცდელობა, რომელსაც თანამედროვე ადამიანი და მისი გარემო საკუთარ თავზე განიცდის, ერთი მეორის იდენტობისათვის ფართო პერსპექტივიდან შეხედვა და მისი გათავისება თანამედროვე მსოფლიოს ცვლილების კონტექსტში.

იულიუს კერელასი

A-B

(სასაკლავო აგენტი)

ინგლისურიდან თარგმნა მაკო ყანჩელაშვილმა

შერიფებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! აჩრდილი დადის ევროპაში. სასამართლო აღმასრულებლის აჩრდილი. ადამიანი ადამიანისთვის სასამართლო აღმასრულებელია.

მოქმედი გმირები: სასამართლოს აღმასრულებლის თანაშემწე

(აღმასრულებლის ოფისი)

(სავარაუდო პროლოგი: ისმის ნაბიჯების, გამვლელი ავტობუსის ან ტროლეიბუსის, კარების გაღების და დაკეტვის ხმები. ავტორი დაჟინებით მოითხოვს პაუზას, რომის ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია რეჟისორზე.)

(ტელეფონი რეკავს)

აღმასრულებლის ოფისი. დილა მშვიდობისა. არა, უფროსი ადგილზე არ გახლავთ. დიახ, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით.

(ყურმილს კიდებს, ისმის ტელეფონზე ნომრის აკრეფის ხმა)

(ისევ რეკავს ტელეფონი)

აღმასრულებლის ოფისი! დილა მშვიდობისა. (პაუზა) არა, დღეს არ იქნება. არ ვიცი. დარეკეთ სამუშაო საათებში.

(ყურმილს კიდებს, ისმის ტელეფონზე ნომრის აკრეფის ხმა)

(ისევ რეკავს ტელეფონი)

აღმასრულებლის ოფისი! რით შემიძლია დაგეხმაროთ? არა, დღეს არა. აუქციონზეა. უძრავი ქონების შესაფასებლას.

(ყურმილს კიდებს, ისმის ტელეფონის აკრეფის ხმა)

(ისევ რეკავს ტელეფონი)

აღმასრულებლის ოფისი! აქ არ არის, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით.

(მოკლე პაუზა)

დიახ, მერწმუნეთ აქ არ არის.

(პაუზა)

მერწმუნეთ, ჩვენი უფროსი კათილსინდისიერი აღმასრულებელია.

(პაუზა)

სხვა აღმასრულებლების მსგავსად მასაც ყავს ოჯახი, შვილები. არასოდეს დავინტერესებულვარ, მე მხოლოდ მისი თანაშემწე ვარ.

(პაუზა)

არა, პარასკევობით სხვა საქმეებიც აქვს.

(პაუზა)

მართალი ბრძანდებით, პარასკევობით ის სახელმწიფო აღმასრულებლის უფლებამოსილებით სარგებლობს.

(პაუზა)

რომელი სასწავლო კურსი უნდა გაიაროს სახელმწიფო აღმასრულებელმა? (მოკლე პაუზა) დიახ, სერთიფიცირებულია, სერთიპიკატი № 00125687 გაცემულია სპეციალური ორგანოს მიერ, რომელიც საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნავს. აქ გვაქვს, კედელზე გვიკიდია, ახლავე მოვძებნი.

(პაუზა)

რას გულისხმობთ, საბუთებს? თუ გნებავთ, ასლს ფაქსით გამოგიგზავნით. ასე ვთქვათ, გამონაკლისის სახით, თანაც გაითვალისწინეთ, თითქმის ეროვნული დღესასწაულია.

(პაუზა)

მისი მოვალეობა? აღმასრულებლის მოვალეობაა დაიცვას ქვეყნის მოქალაქენი მტრებისაგან.

(პაუზა)

დაიხ, რა თქმა უნდა, ამ კუთხით სავსებით მართალი ბრძანდებით, მტრები მართლაც მევრია.

(პაუზა)

არა, ისინი არავითარ შემთხვევაში არ არიან მთავარი აღმასრულებლის პირად მტრები. არავითარ შემთხვევაში.

(პაუზა)

კლარა, შენ ხარ? საოცარია, ამდენი წლის შემდეგ შენი ხმა რომ მესმის. ზუსტად გუშინ, ჩვენი მთავარი აღმასრულებელი ამბობდა, რომ ქალქში ვიღაც ჩამოვიდა ჩვენს შესამოწმებლად. ესე იგი, უნდა მივმხვდარიყავი. (მცირე პაუზა) ჩვენ არ გვეშინია, რომ პრესამ ცუდს დაწერს ჩვენზე. ყველაფერი დამტკიცებულია, ჩვენ არაფრის გვეშინია.

(პაუზა)

მიხარია, რომ დარეკე. საერთოდ არ ვიცი და არც მაინტერესებს როგორ როგორ ახორციელებს დასჯას.

(პაუზა)

და საერთოდ, რა ჩემი საქმე როგორ აცლის დამნაშავეებს თავებს ან გამოწერილ საწამლავს როგორ უკეთებს?

(პაუზა)

სულაც არ არის საჭირო ადამიანი ქათამს შეადარო, მაშინაც კი როცა ის დამნაშავეა. (მოკლე პაუზა) შესაძლოა. შესაძლოა ელექტრო სკამზე, ელექტრო საწოლზე, ან რამე მსგავსზე. ნამდვილად არ ვიცი. საერთოდ არ მაინტერესებს.

(პაუზა)

სრულიად არ მეეჭვება. ერთხელაც არ დამიგვიანებია სამსახურში. ხომ მიცნობ. არასოდეს დამიგვიანია. ყოველთვის ერთი საათით ადრე ვიწყებდი მუშაობას, ყოველთვის.

(პაუზა)

არა, აქმდე ოჯახიც კი არ მყავს, მაგრამ ეს შენ თუ არ გაწუხებს... (მოკლე პაუზა) ეს ჩემი პირად საქმეა. მხოლოდ ჩემი საქმეა. (მოკლე პაუზა) ესე იგი, თუ ამ ყველაფრის თქმა ამდენი წლის მერე შეგიძლია... (მოკლე პაუზა) მაშინ კარგად მეყოლე!

(ყურმილს კიდებს. ისმის ტელეფონზე ნომრის აკრეფის ხმა)

(ტელეფონის ისევ რეკავს)

აღმასრულებლის ოფისი. ისევ შენ ხარ, ბევრის უფლებას აძლევ თავს. კიდევ რა გინდა? (მოკლე პაუზა) ეს თუ ისევ ფულს ეხება, უკვე ყველაფერი მოგეცი რაც მქონდა, მაგრამ მე არასოდეს ვყოფ ცხვირს ჩვენი სააგენტოს უფროსის საქმეებში, და ვერც იმას ავითანდიჩემს ცხოვრებაში რომ ცდილობდეს ვინმე შემოჭრას. თავს ნუ შეიწუხებ ამაზე, კარგად მაქვს გათავისებული წესები. ეს შენ არ გეხება...

(პაუზა)

რატომ ავარიდე თავი მისთვის ყასაბი დამეძახა (მცირე პაუზა); სასაცილო ნუ ვიქნები? და რატომ უნდა ვიყო? ეს მისი მეორე მოვალეობაა და ჩემზე გავლენას არ ახდენს. ესენი... (მოკლე პაუზა) ამას ჩემთან კავშირი არა აქვს.

(პაუზა)

როგორ უძღვება თავის საქმეს? (მცირე პაუზა) და შენ რატომ გაინტერესებს? (მცირე პაუზა) ეს შენი საქმიანობაა? რომელიმე პრიალა ჟურნალისთვის? ნაგავში იქექები და ჩვენს საქმეებში ყოფ ცხვირს. (თავდაჭერილად) ახლა მომისმინე, თუ გაინტერესებს. თითქმის მთელი კვირამთავარი აღმასრულებელი სწავლობს მოვალეების საქმეებს, და როცა დრო მოდის სასამართლოს ჩაქუჩი ერთვება საქმეში. მაღლობ აღმერთს. ამის განსახორციელებლად გარკვეული მეთოდები გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ყველაფერი ზედმიწევნით შეთანხმებულია. ყველაფერი, რის რის საშუალებასაც კანონი გვაძლევს.

(პაუზა)

ის ხშირად იმეორებს, რომ მისი მოწოდებაა არ დაკარგოს ნდობა დავალიანები აღწერისას.

(პაუზა)

კარგი. როგორც შენ ამბობ, სასამართლოსგან განაჩენგამოტანილები დამის მკაცრ ხელში მოხვედრილები. ხომ გითხარი, ამის შესახებ, ბევრი არაფერი ვიცი. იმას თუ არ ჩავთვლით რომ მათ კარგად უხდინან.

(პაუზა)

რატომ უნდა იღებდნენ ისინი კარგ გასამრჯელოს? ეს არ არის მთავარი. გაიგე, ჯალათისდა აღმასრულებლის სამუშაოს ბევრი რამ აქვთ საერთო. შური არაფერ შუაშია.

(პაუზა)

სამართალი. ყველაფერი სამართლიანობისთვის.

(პასუზა)

არა. (მოკლე პაუზა) არა, ამაზე არასოდეს ვხუმრობ. სამსახურის შემდეგაც კი. მხოლოდ იმის თქმა მინდა რომ აღმასრულებელი და ჯალათი ცივილიზებული და კანონიერი მეთოდებით ებრძვიან დისბალანსს სახელმწიფოში. სასწორი არასოდეს გამოგიყენებია, ეს ისეთივე ადვილია

(პაუზა)

შეუძლია კიდაიძინოს მას შემდეგ რაც მოკლავს ამდენი ადამიანის მეუღლეს და მშობელს, მძას და საყვარელ ადამიანს? ძალიან მძიმეა, თუ საერთოდ არა? მის მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს? შეგიძლია ახევე მკითხოთ რა ესიზმრება პარასკევიდან კვირის ჩათვლით? ნამდვილად, კლარა, საიდან უნდა ვიცოდე ეს. ჩემი საზრუნავიც მეყოფა. ის ნამდვილად არ არის ჩემი ოჯახის წევრი.

(პაუზა)

ყოველი პარასკევს სამსახურში ახალი კოსტუმით მოდის, ისე თითქოს ჯილდო მიიღო. (მოკლე პაუზა) აბა, საიდან უნდა ვიცოდე რამხელაა ეს ჯილდო? ბოლოს და ბოლოს ეს არანაირად არაა ჩემი საქმე. მის საქმეში ცხვირი არც ჩამიყვია და არც ჩავყოფ. თანაც, ძალიანაც რომ მომენდომებინა, კოსტუმებს ასე ხშირად ვერ გამოვიცვლიდი. ყველა უცხოური ნაწარმია, ყველა ძალიან ძვირია. შალი ან გაბარდინი. კარგად არ ვიცი, ვერ ვარჩევ ერთმანეთისგან. საუდუმლოდ გეტყვი, ზოგჯერ ეგზოტიკური ოდეკოლონები ასხია, დიდი ალბათობაა ძალიან ძვირიც ღირდეს. თუმცა არც ამაში

გამეგება რამე. მეინც ვერ ვიცი. და ეს სუნამო, დამიჯერე, გაგაბრუებს. როცა ოფისიდან მიდის, მუშკის თუ რაღაც ამდაგვარის მძაფრ სუნს ტოვებს, ისეთი სუნი დგას ყველა ოთახში რომ სამუშაო საათების შემდეგ ვერ იმუშავებ. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე ტკბილი სუნი არ მიყვარს.
(ფიქრებში წასულმა ყულმილზე ჩაქინდრა თავი)

ჩვენი უფროსი აღმასრულებელი. იცი მე რომ ქალი ვყოფილიყავი, მაგრამ არ დამცინო, ხანდახან ამაზეც ვფიქრობ. უბრალო, ნორმალური, ნამდვილი ქალი. კარგი. ჩვეულებრივი ქალი... ვფიქრობ მას ვგავარ. ძალიან ვგავარ. და რა მერე, ჩვენ სამართლიანობისთვის და სასამართლოსთვის ვიმუშავებდით ერთად, როგორც სამაგალითო წყვილი. მაშინ შესაძლოა, მთელი ქვეყანა გაგვეთავისუფლებინა წყეული მოვალეებისაგან. ჩვენ კი შევძლებდით გვეცხოვრა სადმე ზთვის პირას, გვექნებოდა პატარა ფერმა და გვეყოლებოდა ცხვრის ფარა. ალბათ გახსოვს, ბავშვობაში ყოველთვის ვოცნებობდი ცხვრებზე. სხვა ბიჭები კი ველოსიპედზე ოცნებობდნენ. მე ყოველთვის ცხვრებზე ვფიქრობდი. გახსოვს ჩვენი მეზობელის ცხვრები, რა საწყლად გვიყურებდნენ ღობიდან. ეტყობოდათ უბედურები იყვნენ, თავიანთ სატკივარს ერთმანეთს შესჩიოდნენ ბეე, ბეე... ძალიან მინდოდა გამეპარსა ისინი, შემეცურებინა ხელები მატყლში, რომელსაც ჭუჭყიანი თოვლისფერი ედო. ყოველთვის გული მეკუმშებოდა მათ დანახვაზე. ალბათ უფროსი აღმასრულებელიც ჩემნაირი იყო. არავინ იცი.

(პაუზა)

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია, მეტი არაფერი. ხომ იცი ეს ყველაფერი ჩემთვის დიდი სიტბოსა და სინანულის მატარებელია. დღეს კი ჩემი ერთადერი საზრუნავი სასამართლოს ყოველდღიური საქმეებია, საბუთები, გამოძიება, ჯარიმები, ვალები და კოდექსები. ყოველთვის ერთი და იგივე. თურმე ამ საქმისთვის გავჩენილვარ. გგონია ეს ადვილია?

(მოკლე პაუზა)

ვერაფერს ვცვლი, რაც არის არის. ორმაგი ყველის სენდვიჩი, ყოველდღე მიმაქვს სამსახურში და ხშირად დილით სანაგვეში აღმოჩნდება, არასოდეს მენატრება. (მოკლე პაუზა) ვერ ვიტან გამხმარ ნარჩენებს. (მოკლე პაუზა) სისხლი. (მცირე პაუზა) სისხლის ლაქები. (მოკლე პაუზა) რომელი სისხლის ლაქებზე იფიქრე?

(სიცილი)

მგონი რაღაცეებს ხლართავ! ის ადამიანი სუფთაა, სტერილურად სუფთა. (მოკლე პაუზა) ხელებს იბანს ყველა კლიენტის შემდეგ. როგორც სანიტარი ბრძოლის ველზე. ხანდახან საკუთარ ოთახსაც აწმენავს. (დამაჯერებელი ისერით) შენ, მისი ფრჩხილები უნდა ნახო! ყოველ ხუთშაბათ დილით იჭრის ფრჩხილებს, სალონიდან დადიან მასთან, ყოველ ჯერზე სხვადასხვა. (მოკლე პაუზა) მისი ფრჩხილები, მისი ხელის ფრცხილები. ფრჩხილები. (მოკლე პაუზა) ძლიერი ხელები აქვს. ნამდვილი კაცის! მოჭიდავის ხელები, ან მასაჟისტის. მასიური, ინტელექტუალის ხელები, ან დიდი სატვირთო მანქანის მძღოლის. როცა ხელს ვართმევ მაჟორიალებს.

(პაუზა)

აღიარე, არასოდეს გინახავს, აქამდე არ შეხვედრიხარ.

(პაუზა)

ჩუმად ხარ. (მოკლე პაუზა) კარგი, ასეც გავიფიქრე. ერთ დღეს გაგაცნობ. მაგრამ ფრთხილად იყავი, არ შეგიყვარდეს. ატრაქტიულია, ყველა ასმა აღნიშნავს. შეუძლებელია არ შეამჩნიო. იგი ჰოლივუდის გლამურული გოგონების ტიპია. პირდაპირ ბოლივუდის საოცნებო სერიებიდანაა. ალუბალმოდებული პუდინგია. მისმა სამართლის გრძნობამ, ის ცოცხალ ლეგენდად აქცია. ადმიანის ტრაციის, პარლამენტის წევრები, მაღალჩინოსნები, და ასევე უცხოელები, ყველა მასთან

გადის კონსულტაციას. ალბათ, სერიოზული ნაშრომის დაწერას გეგმავ მასზე? ის ამას იმსახურებს. იმასაც იმსახურებს, რომ ძველი დაუდგანეკლესიის სკვერის ცენტრში. მისისახელი ერქვას ქუჩას ან ქალაქს, არც ეს იქნებოდა მეტისმეტი. (მისიკვდილებული) არ ვაჭარბებ. არ ვარ ისტერიული. ვხვდები ნამდვილი სამართლიანობა, რომელსაც ნამდვილი აღმასრულებელი ახლორციელებს, დიდად არ გაწუხებს. ჩვენი ძვირფასი მეგობარი აღმასრულებელი. ჩვენი, ჩვენი და ჩემი. (მოკლე პაუზა) რა თქმა უნდა, ყველასიცნობს. მაგრამ მას არა აქვს არანაირი კავშირი პოლიტიკოსებთან.

(პაუზა)

გულწრფელად რომ გითხრა, სასამართლო აღმასრულებელი თავისი ბუნებით არის ძალიან დახვეწილი. ერთხელ ლექსების წერა დასჩემდა. სამწუხაროდ, კანონდამრღვევთა გამო შეწყვიტა წერა, მათ მისი ნიჭი გაანადგურეს. და მაინც, ჩემსავით, მას არ ულაპარაკია სისხლზე, ეს მხოლოდ მისი სამუშაოს ნაწილია, ასე ვთქვათ, მისი სახელმწიფო მოვალეობის ნაწილი. ახლოა ტიპიურ ჟურნალისტთან: მახვილი ენა და კალამი, რამდენიმე ცარიელი ფურცელი, ან დიქტოფონი. ხომ გესმით?

(პაუზა)

ნება მომეცით შეგეკითხოთ, როგორც ჩემს დას, რატომ ხართ ჩვენი კანონმორჩილი სამართლის წინააღმდეგ? გავითვალისწინოთ ის რომ შენ არ ხარ პატარა გოგო, რომელსაც უნდა რომ ვილაგამ თმა დაუწნას. გავითვალისწინოთ ის რომ ჩვენ გვყავს ვიღაც ვინც წონასწორობას აღადგენს. დაიმახსოვრეთ, როგორც ბავშვმა, ვინმეს მხარე უნდა დაიკავო, ან დედის, ან მამის. ამას თავიდან ვერ აიცილებთ. (პაუზა) მაგამ ახლა ამაზე საუბარი არ გინდათ. არა, იყოს ასე. ძალიან იშვიათად და ცოტას წერენ გაზეთები ამ თემაზე. მაგრამ თქვენ იცით მათი მთავარი კრედო: თუ არ არის ამბავი, ის შეიძლება გამოიგონო! ერთი, ორი, სამი (ითვლის თითებზე) და უცებ გაჩნდება სტატიები სხვადასხვა საკითხზე და მის მტრები თანახმანი იქნებიან ამისთვის თანხა გაიღონ. აღმასრულებლის მტრები. და ერის მტრები. კაცობრიობის მტრები. ჯანსაღი აზრის მტრები.

(პაუზა)

ვერ ხვდებით? კარგი, მაშინ სამართლიანობის თქვენეული ვერსია ძალიან უცნაურია. თითქოს გინდათ ხელი შეუწყოთ კრედიტორებს. თითქოს მათ მხარეს ხართ. სწორედ ეს არ მესმის.

(პაუზა)

(იცინის) ძვირფასო, ნამდვილად არვიცი, ბავშვობაში აფერთებდა თუ არა ბაყაყებს, ცეცხლზე სვამდა თუ არა კატებს, ან აწამებდა თუ არა მეზობლის ბაჭირბს? ხომ იცი, მე არასოდეს გამკეთებია ეს ბავშვობაში. შენ იცი, მე მხოლოდ ცხვრებს ვუვლიდი. მხოლოდ ცხვრებს. და დიდი ცხვარი გახსოვს, თავაწეული? რა ამაყად გამოიყურებოდა როცა პატარა თავჩაქინდრულ ცხვრებს სამოვრისკენ მიუძღვოდა. გეგონებოდა მესაზე ან ღმერთის სამსჯავროზე მიდიოდნენ. (მოკლე პაუზა) საიდან მოიპოვეთ ეს ყველაფერი? რა უნდა შეცვალოს? ახლა ის უფროსია, მთავარი აღმასრულებელია. და თუ მანამდე რამე ხდებოდა, ახლა ყველაფერი გაქრა, ჩაბარდა ისტორიას. უკვე დაკარგა მნიშვნელობა.

(პაუზა)

ეს მე რატომ უნდა მეხებოდეს? არ ვიცი, მითხარი.

(პაუზა)

მე მხოლოდ მისთვის ვმუშაობ. ის მიხდის ხელფასს.

(პაუზა)

არა, ჩვენ მეგობრები არ ვართ. სულაც არა. მასთან სახლში არასოდეს ვყოფილვარ.

(პაუზა)

არა, შემიძლია დავიფიცო რომ ასე არ არის. ვხედავ, როგორ უკანკალებს ხელები, როცა ორშაბათონით საბუთებს ფურცლავს და მსჯავდებულებს ითვლის. ხანდახან მგონი, რომ გული წაუვა, და მე მზად ვარ მის მოსასულიერებლად. (მოკლე პაუზა) შესაძლოა არ დამიჯერო, თუ რამდენად მშვენიერია, რამდენად მშვენიერია იმ დროს მისი თვალები! ბავშვით, რომელმაც ეს-ესაა საშობაოდ საოცნებო საჩუქარი მიიღო. დათუნია, ბაჭია, სათამაშო მატარებელი. რამე რაც პატარა ბავშვებს სურთ. მე, რა თქმა უნდა, ამ დროს თვალს ვარიდებ, მაგრამ სრულიად შესაძლებელია თვალები ცრემლით ქონდეს სავსე. ეს ნამდვილად შესაძლებელია.

(პაუზა)

დიახ, გაბრაზებულია. დიახ, მას ნამდვილად უნდა რომ რაც შეიძლება სწრაფად ნახოს, სად მალავენ მისი ხელები ფულს. დიახ, მას შეეძლო თვითონ ეწარმოებინა ჩხრეკა. პირადად ეწარმოებინა ძებნა იმ საშინელ შენობაში სადაც ისინი ცხოვრობენ. როცა ვალი გაქვს თავად ხართ დამნაშავე და როგორც კი დამნაშავე ხდები, მაშინვე უნდა დაისაჯო, რათა თავს უშველო და გათავისუფლდე საკუთარი უბედურებისაგან. აჰ, იცით, ვამართლებ ფიზიკურ დასჯასაც. მე ვნახე, ბრაზისაგან გაცოფებულ მთავარი აღმასრულებელი განაჩენის გამოტანის დროს, რომელიც თავად გამოჰქონდა. მაშინ გაჭადრადავდა. ახლა ისეთი თეთრია, როგორც ნაღები ჩვენს ბავშვობაში. (მოკლე პაუზა) ეს ისეთი რამეა, რასაც შენ ვერ გაიგებ? ეკლესიაც აქვია დაცემული სულების დასახმარებლად. შენი ცოდვა ჩაირეცხება, შემცირდება და განიწმინდება. მტკივნეულად განიწმინდება. ახლა ნუ იტყვი, რომ ამას ვერ გრძობ. (მოკლე პაუზა) ეს ისეთივეა, როგორც ინკვიზიცია? შენ ვერ იგებ, მაგრამ მთავარი აღმასრულებელი არის განსაკუთრებულად საპატიო კაცი. საკმარისია ერთხელ ჩახედო მას თვალებში და დარწმუნდები. იგი ხშირად ამბობდა: თუ ერთ-ერთი ამ ბავშვებიდან კანონს დაარღვევს, მე პირველი ვიქნები ვინც მათ დასჯას მოითხოვს, დანაშაულის შესაბამისი სასჯელით.

(პაუზა)

შენ არ დაგინახავს, თუ როგორ ცახცახებენ მოვალეები, როდესაც გაიგებენ რომ მათი ვალები აღმოაჩინეს, თითქოს ღმერთმა თითოთი მიანიშნა, და სააშკარაოზე გამოიყვანეს სასამართლოს აბრასთან. მხოლოდ მაშინ ხვდებიან ისინი რა უსარგებლოები არიან. მხოლოდ მაშინ, ქრება მათი დანაშაული და სამართალი ზეიმობს.

(პაუზა)

არა, არ ვაჭარბებ. შენ თუ ვერეფრი გაიგე, გადი ქუჩაში და მოისმინე. მოისმინე, თუ როგორ ჩივის ხალხი რომ მთავრობა საკმარისს არ აკეთებს. ისინი ჩაკეტილები არიან პარტიულ ჭაობში და არც უნდათ დაინახონ თუ როგორ ძოვს ხალხის ფარა გორაკებიან მინდვრებზე. მე ვფიქრობ, და მჯერა, რომ მთავარი აღმასრულებელი კარგი პრეზიდენტი იქნებოდა. ჩვენი ფაილების ფოტოსურათებიდან, დამიჯერე, ჩვენ გავაქვს დაბეჭდილი ფაილები, მისთვის ყველა კრედიტორი ახლობელია. დედასავით ზრუნავს მათზე, მიუხედავად შეცდომებისა. მისადამტებულებას შეუძლია ყველაფერი დაინახოს ფაილების მეშვეობით. თითქოს ისინი კანგამძვრალეები არიან. ამ ყველაფრის მართვის მეორე გზაც არსებობს - საპოლიციო ქვეყანა, სადაც პრეზიდენტი, არც მეტი არც ნაკლები, საპატიო ცვილის ფიგურაა. და კარგი აღმასრულებელი კი ბაჯალლო ოქროა.

(პაუზა)

(ირონიულად)

კლარა! ყურმილს კიდებ (მოკლე პაუზა) ხომ არ დაგავიწყდა დიქტაფონის ჩართვა? (პაუზა)
ყველაფეს დაიმახსოვრებ? სიტყვა სიტყვით, კარგი, დაო, კარგი.

(პაუზა)

ჩვენ სად გავჩერდით? აჰ, დიახ. თუ ეს ნამდვილად დაგაინტერესებთ, ხანდახან შეგვიძლია დავსხდეთ მთელი ღამით ოფისში, მხოლოდ იმიტომ რომ გავიგოთ, სად შეიძება იყოს კრედიტორის სამალავი, რომელ პატარა ბანკში. დილით კი ჩვენ ხელთ ვიგდებთ ყველა ანგარიშს, თავისი აქტივებით, რა თქმა უნდა. ანუ ჩვენ ვამუშავებთ დოკუმენტაციას, ვითვალისწინებთ რა ყველა პირობას.

(პაუზა)

არა, მე ამას არ უარყოფ: ნამდვილად ტკბილია, ახლოს არის რელიგიურ რიტუალთან, ან ზღაპართან, სადაც სიმართლე იმარჯვებს. სადც პრინცესა ცოლად მიყვება მშვენიერ უფლისწულს, რომელიც ადრე ბაყაყი იყო და მემკვიდრეობით იღებს სამეფოს ნახევარს.

(პაუზა)

არა, ჩვენ არ ვიღებთ ნახევარ სამეფოს, მაგრამ ვერცდავიწყუნებ. ისლა დაგვჩენია ჩვენი ხარჯები ვითვალთ (მცირე პაუზა)(კმაყოფილი თავის გამოსვლით) ეს გასამრჯელოს აღებასავითაა. რას გულისხმობ, რისთვის? საქმიდან გამომდინარე, ჩვენ გვიხდებიან ვალის დათვაში, საფოსტო ხარჯები, კრედიტორების უძილო ღამეებისთვის.

(პაუზა)

დიახ, ეს ძალიან დამღლეელია. დაუფასებელი ჯაფაა. თუმცა ჯერ კიდევ ორივეს გავქვს კამყოფილების გრძნობა იმის გამო, რომ კარგად ვართმევთ თავს ჩვენს მოვალეობას.

(პაუზა)

უფროსი აღმასრულებელი ჭკუაზე თუ არი? (მცირე პაუზა) კარგად მესმის შენი?

(პაუზა)

(ჩახველებს, ხმას გაიწმინდავს) ეს ის სიტყვა არ არის რომელსაც ევროპის სასამართლო არქივების თაროებზე იპოვი, მაგრამ კლარა, იცოდე გონება ჩვევია, მას როგორც უნდა ისე ალაგებს ყველაფერს. ეს არის მისი ძირითადი თვისება, ერთი ცხოვრების ხაზი, ყველაფერი ამის გარეშე ის იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი სკამების დამლაგებელი ოფისში. მადლობა ღმერთს, რომ მისი მამა, მის ბაბუა და დიდი ბაბუა, ყველანი აღმასრულებლები იყვნენ. შენი აზრით, სხვას ვის შეუძლია იტვირთოს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მძიმე ტვირთი. თუ არა შენს აღმასრულებელს? ვის შეუძლია გაწმინდოს ემიგრანტებისა და უმუშევრების ბრბო. გაწმინდოს ისინი ყველა შეცდომისაგან, რომლებით ვალეზშიჩაიკარგნენ?

(პაუზა)

ჩვენი მთავარი აღმასრულებელი...

(პაუზა)

არ შემაწყვეტნო; თუ არ გინდა დაინახო მთავრი აღმასრულებლის სრული სურათი. (მცირე პაუზა)... ჩვენი მთავარი აღმასრულებელი, სააგენტო ლიგატ ოფ ჩონსციენცე-ის უფროსია, ასეტი მხოლოდ ერთადერთია მსოფლიოში. თუ გინდა იცოდე, ეს სააგენტო დაკავებულია კრედიტორების

რეგისტრაციებით, მათი მეთვალყურეობით, დღე და ღამედასვენების დღის გარეშევის შეუძლია ამ ქვეყანაში ასე მუშაობა...

(პაუზა)

დიახ, მართალი ხარ; მხოლოდ სუფთა აზროვნების ადამიანს შეუძლია ამ საქმის კეთება. ჩვენთვის, არასოდეს გვქონდა, არც გვაქვს, არანაირ ვალეები. ალბათ გესმის, რომ ფულს ვიღებთ, მაგრამ ჩვენივე საქმეს ვწირავთ მას. შენ ბევრი არაფერი გაგეგება ფულის.

(პაუზა)

გაიგე, ცემთვის და მთავარი აღმასრულებელისათვისსულერთიავინ დაარღვია კანონი. ეს არის უყურადღებოდ დატოვებული ბეზია, მარტოხელა დედა, მთვრალი თინეიჯერი, თუ პაციენტი, რომელიც ათი წელის ავადმყოფის საწოლს არის მიჯაჭვული. როგორც ყოველთვის, ჩვენი მიდგომაა, სუფთა გონება სუფთა ქვეყანაში. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა ღირდეს.

(პაუზა)

ვინ? (მცირა პაუზა) პენსიონერი? (მცირე პაუზა) რომელი პენსიონერი ქალი?

(პაუზა)

რომელ გაზეთში? აჰ, ყურადღებას ნუ მიაქცევ. ეს არაფერია. ყველა ერთი და იგივე სიცრუეს ამბობს.

(პაუზა)

მახსოვს, მახსოვს. იმ ქალს არ გადაუხდია ორი თვის სატელეფონო გადასახადი. მაშინ, როცა ასოციაციამ & R , ხომ იცი "ლმერტი და კომპანია", დახმარებისთვის მოგვართა, ჩვენ დავთანხმდით, თუმცა საერთოდ ჩვენ ასეთ პატარა საქმეებს არ ვიღებთ.

(პაუზა)

95 ლიტი და სამოცი ცენტი, გადაუხდელი.

(პაუზა, სკეპტიკურად)

ამბობ რომ მარტოხელაა, არ ყავს შვილები, არა აქვს კბილები, ხელები უკანკალებს, მოხუცი ქალია, ძალიან მოხუცი. ფოტოგრაფიული მეხსიერება გქონია, გილოცავ, აქამდე ვერ შევამჩნიე. (მოკლე პაუზა)მისნაირი უამრავია.

(პაუზა)

არ გეწყინოს, მაგრამ არა მგონია ამ ქალის ისტორია საინტერესო იყოს. და მერე რა, თუ ის ქალი ქათმებს ზრდიდა ქალაქგარეთ, ყიდდასოკოსა და კენკრას? (მცირე პაუზა) კარგი, და მერე რა? როგორც ჩანს მას არ ქონდა ნებართვა მცირე ბიზნესის საწარმოებლად, ეს ჩვენ არ გვეხება, მაგრამ სახელმწიფოს არ მიუღია არანაირი გადასახადი ამ ქალიგან. და ეს ნამდვილად არ არისგასასამართლებელი. არც შენ არ უნდა გიყვარდეს მოვალეები.

(პაუზა)

ჩვენ შევეცადეთ მას დავხმარებოდით. ვცდილობდით მისთვის აგვეხსნან თუ რა საშინელ შეცდომას ჩადიოდა როცა ვალებს არ იხდიდა. (მცირე პაუზა) უფროსმა აღმასრულებელმა მხოლოდ ოცდაათი ლიტი გააკეთა ამ ქალის საქმით, მხოლოდ 30 ლიტი, ჩემი აზრით. გადავხედავ ჩანაწერების წიგნს.

(პაუზა)

რა ოცდაათი ვერცხლი?

(პაუზა)

ვინ არისიუდა? (მცირე პაუზა) პარლამენტიდან არის? აქამდე ყოველ დღე მირეკავენ იქედან თითქოს განზრახ. იბრძვიან როგორც ცოფიანი ძაღლები.(მოკლე პაუზა) არც ერთს არ ვიცნობ, მაგრამ არცერთს მოუმართავს პირდაპირ. (მცირე პაუზა) ხომ ხედავ, საერთოდ არ გესმის რა საპასუხისმგებლოა ეს სამუშაო.

(პაუზა)

დიახ, იმ ქალსგული გაუსკდა. წავიკითხე ამის შესახებ, მაგრამ ეს არ მომხდარა ჩვენი აღმასრულებლის შეცდომის გამო. გაზეთები, როგორც ყოველთვის ტყუილებით არის სავსე. იმიტომ რომ, მშვენივრად იცი, ისინი სენსაციებს დასდევენ, ერთი დღის დიდებას. რამოდენიმე ჟურნალისტს ვიცნობ,საკუთარი მშობლების ბოლომდე გასრესას არ დაინანებენ, თუ დილისგაზეთში მათი სახელი მოხვდება. ეს არის ყველაზე ცუდი....

(აგდებს ყურმილს; გათიშვის ხმა)

(ტელეფონი ისევ რეკავს)

ისევ შენ? დროს მაკარგვინებ, ძვირფას დროს. მეგონა ამდენი წლის შემდეგ დაჯდებოდი და რამეს მომიყვებოდი, რამეს რაზეც ვიმსჯელებდით. მშვენივრად იცი შენს გამო დაგვარგე ყველაფერი. (მცირე პაუზა) არა, ჩვენს მთავარი აღმასრულებლის არგაუგზავნი ყვავილები, გაიგე, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი სიმპატიები გავუზიაროთ მოვალეებს, მას შემდეგ რაცდავსჯით. მათ თავიანთ თავს განაჩენი ადრევე გამოუტანეს. ჩვენ გასაკეთებლად გვრჩება მხოლოდ სასამართლოს საბოლოო სიტყვა.

(პაუზა)

რა არის აქ ასეტ აღსანიშნავი? კიდევ ერთხელ, ერთი ჩვეულებრივი გაზეთი აქვეყნებს ერთ ცეცულებრი ახალ ამბავს. უყვართ რაღაცეების გაბუქვა. (მცირე პაუზა) არ არის არანაირი მოწმობა. უნდა შეამოწმო ყველი სასამართლო გადაწყვეტილების საკანონმდებლო საფუძველი. ჩვენსმთავარაღმასრულებელს ერთი ცენტრიკი არ მიუმატებია თავისი საკუთრებისთვის. არც არაფერი უყიდა. (მცირე პაუზა) გაქვს მოწმობა? ოჰ, გაჩერდი. რაც მახსოვს ყოველთვის ბავშვივით იქცეოდი. (მცირეპაუზა) და რა, რომ იმისი ძმა ევრო პარლამენტი სწევრია?

(პაუზა)

რა თქმა უნდა. მე ძალიან ვწუხვარ საბრალო ქალის გამო. თუმცა სხვა კუთხით რომ ხომ მივუდგეთ, ეს გაკვეთილი უნდა იყოს მისი თნამოქალაქეებისთვის. მათთვის ვინც შეეცდება მაიმუნური მცდელობით თავი აარიდოს ვალების გადახდას. მე აღვნიშნავ მათი ვალების, და არა ჩემი.

შენთვის როგორც ვხვდები მხოლოდ სველი თეთრეულის ფასი აქვს და რაღაც აუხსნელ მიზეზთა გამო კვლავ დელავ, თუმცა გარკვეული ადამიანების წყალობით, მყიდველი მაინც გამოჩნდება. (მცირე პაუზა) ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ დაიკო.

(ყურმილს ახეთქებს; ნომრის აკრეფის ხმა ისმის)

(ტელეფონი კვლავ რეკავს)

(მცირე პაუზის მერე პასუხობს)

იცი რა? არ არის საჭირო პენსიონერებზე, ინვალიდებზე, მარტოხელა დედებზე, მიტოვებულ ობოლ ბავშვებზე ან ფსიქიკურად არამდგრად ვეტერანებზე ამბების მოყოლით თავბრუ დამახვიო. საკმარისად ვითმინე ყველაფერი. გარდა ამისა, კარგად იცი რაც გადავიტანე მას შემდეგ რაც ის წყეული ფული გასესხე.

(პაუზა)

და ბოლოს, მაგ ამბებიდან რომელიმეში სიმართლის თუნდაც ერთი, ორი ან სამი პაწაწინა მარცვალი მაინც არის, მაშინ მე არაფერი მესაქმება. არავითარ შემთხვევაში. ვფიცავ, რომ ვემსახურები ჩემს ქვეყანას და არა აღმასრულებელს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ მიზანს ვემსახურებით ორივე. კანონს რაც შეეხება, არაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ კარგად ვიცნობ.

(პაუზა)

მერე რა მოხდა თუკი მოსამართლე გვერდში დაუდგება ვეჯილს ან აღმასრულებელს მოსამართლეს დაეხმარება? ან თუკი ვეჯილი დაეხმარება იურიდიულ პირს და პირიქით? ძმური გვერდში დგომა მუდამ ერთმანეთში ვრცელდება, სულ ესაა. წარმოიდგინე, რომ მაღაზიაში მუშაობ და უცებ აღმოაჩენ, რომ ასანთი გაგთავებია. სხვა მაღაზიაში ხომ არ წახვალ მის საყიდლად?! არა, ხომ ნამდვილად სასაცილოა, არა? იმ მაღაზიაში იყიდი ასანთს, სადაც შენ მუშაობ. სწორედ ამიტომ არის ვეჯილი მოსამართლესთან შეკრული, აღმასრულებელი პირი კი მთელ სასამართლო სისტემასთან. ერთიდაიგივე სისხლის ცირკულაციასთან გვაქვს საქმე. თუკი ჩემი აზრი გაინტერესებთ, მთელ ამ აკვარიუმში მხოლოდ აღმასრულებელი პირები ასრულებენ ოქროს თევზის როლს. (მცირე პაუზა) არ ვუარყოფ, რომ სამართალი, ისევე როგორც კანონის აგებულება ზოგჯერ ცდომილებისკენ მიემართება. როგორც იცით, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები სასიკვდილო შეცდომას უშვებენ. თუმცადა, ნებისმიერი ვალი რომელიც განზრახ გამომდინარეობს მანკიერი განზრახვიდან, ნამდვილად არის სინდისის უკიდურესი ცდომილება და როგორც ჩირქის გროვა, დაუყოვნებლივ უნდა გაიჭრას. (მცირე პაუზა) ახალი ამბავი არ არის ეს ჩემთვის: ყველა საქმე განსხვავებულია, თითოეული მათგანი საკუთარ თავს მსხვერპლს უწოდებს, თითოეულ მათგანს თავისი მოძმის ნამცხვრისგან ყველაზე მოზრდილი და გემრიელი ნაჭერი უნდა რომ შეხვდეს.

(პაუზა)

(მსუბუქი დამცინავი ხმით)

შენ ამბობ, რომ ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფალმა ავნო ორივესთვის კარგად ნაცნობ ადამიანს (მცირე პაუზა) ისიც პენრიონერია, რომელსაც უჭირს ფეხის გადაგმა? ხელები უცახცახებს? (მცირე პაუზა) ჩემს შეშინებას ცდილობ, მაგრამ საერთოდ არ ვარ შემრწუნებული. იცი რატომ? იმიტომ, რომ სიმართლე ვიცი.

(ოდნავ დაღლილი ხმით)

ახლა არ მითხრა, რომ ისიც მევალებების კასტიდან იყო (მცირე პაუზა) (იცინის) ეს საკითხი უკვე გადავლახეთ და ბევრიც ვილაპარაკეთ, ძვირფასო გოგონავ, თუ ახალგაზრდა ქალბატონი ხართ ახლა? კლარა, სამი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დაგირეკავს ჩემთვის.

(პაუზა)

დამპირდი რომ არავითარი კავშირი არ აქვს ამას ვალებთან ან ფულთან. ამქვეყნად ყველაფერი ფულთან არის დაკავშირებული. (მცირე პაუზა) და არ ემზადები, რომ დაწერო აღმასრულებელის შესახებ, არა? (მცირე პაუზა)

კარგი რა, კლარა! (მცირე პაუზა) ისეთ კითხვებს მისვამ თითქოს თორმეტი წლის ბავშვი აბარებს პირველად აღსარებას. რატომ? (მცირე პაუზა) (თითქოს თავის თავს აბარებს აღსარებას) ჩვენმა

ბატონმა ამას წინათ ახსენა, რომ დღეს მის მეტად მნიშვნელოვან იუბილეს შესახებ უნდა დაერეკათ. როგორც ჩანს, რელსებიდან გადავედი(მცირე პაუზა) ჰმმ.

(პაუზა)

(საკუთარი თავი დაავიწყდა, აგრძელებს დიალოგს)

ის პიროვნება...

(პაუზა)

გადმოგდეს მეორე სართულიდან?

(პაუზა)

ხელი ჰკრეს? ვინ ჰკრა ხელი?

(პაუზა)

კლარა, ვერაფრით ვერ ვხვდები რა კავშირი აქვს ამ საქმესთან აღმასრულებელს? ვინ არის ის პიროვნება ორივე, რომ ვიცნობთ და ახლა საავადმყოფოში რომ წევს? კიდევ ერთი პენსიონერი? (მცირე პაუზა) ამდენი უცნობი ადამიანიდან ერთი ძალიან ბევრი არ არის?

(პაუზა)

კლარა. (მცირე პაუზა) ძალზედ საყვარელი, მშვენიერი სახელი გაქვთ. (მცირე პაუზა) ნამდვილად მენატრებით.

(პაუზა)

გუშინ ქუჩაში შემთხვევით თქვენს მეგობარ ვიდას შევხვდი, ერთ კლასში სწავლობდით და სწორედ მან მითხრა, რომ საავადმყოფოში იწექით. მეტი არაფერი იცოდა თქვენს შესახებ. (მცირე პაუზა) ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდით. გამუდმებით ებრძოდით გაციებას, ანგინას, ყურის ანთებას... დაბადებიდან გიჭირდათ სუნთქვა. რა თქმა უნდა, არ გემახსოვრებათ ჭიპლარი როგორ გაგინასკვეს. დედამ ერთხელ გვიამბო, გახსოვს? ცოტა ხნით რომ შეყოვნებულიყვნენ, ახლა და არ მეყოლებოდა.

(პაუზა)

(თითქოს რაღაცაზე დაეჭვდა)

მართლა საავადმყოფოში ხარ? ტკივილი, აპენდიციტი თუ რა? (მცირე პაუზა) ახალი გამოსული ხარ კომიდან? ალბათ ამიტომ გაქვს სუსტი ხმა. ძლივს გიცანი. გახსოვს სუმბულის სუნზე რომ წაგივიდა გული?

(პაუზა)

სად? წმინდა ჯეიმსის საავადმყოფო? აჰ, აბანოსთან ახლოს. აღმასრულებელითავის მეგობრებთან ერთად რომ დადის შაბათობით. ყოველ შაბათს, დარში თუ ავდარში.

(პაუზა)

მოიცა, ეხლა მოიცა. (მცირე პაუზა) გინდა მითხრა, რომ სწორედ მან გადაგაგდო ფანჯრიდან? ნამდვილი სიგიჟეა. ღმერთო ჩემო! ახლა ველარაფერი გამიგია.

(პაუზა)

(თავშეკავებულად) ვალები ხომ არასოდეს გქონია. ამას არ დავუშვებდი. არავის ვალი არ გქონდა. ჩემს გარდა. მუდამ კარგი გოგო იყავი. (მცირე პაუზა) შეიძლება უზომოდ კარგიც. წარმოდგენაც არ გქონდა როგორ მორევში გითრევდა ეს ცხოვრება. ამანაც არ დააყოვნა. თავიდან ფეხებამდე, სულ მთლიანად. მე ძლივს გადავრჩი. კლარა, კლარა! (მცირე პაუზა)

აჰ, ეს ძველი, მოუშორბელი ვალი. ახლა როგორც იქნა შეგვიძლია ვილაპარაკოთ. (მცირე პაუზა) როგორც გახსოვს ჯერ კიდევ სამი წლის უკან მთელი ჩემი დანაზოგი გასესხე, ბინაც ბანკის ვალის დასაფარად გადაგიფორმე. ცარიელ-ტარიელი დავრჩი, რაც შეეხება აღმასრულებელს, ახლა ალბათ ქუჩაში იცხოვრებდა. წარმოიდგინე როგორ ძლიერ მინდოდა შენი დახმარება კლარა... გაიხსენე როგორ მთხოვდი, მევედრებოდი ფული მომეცა ოროთახიანი ბინისთვის “ანგელიკა”, კლარა! (მცირე პაუზა)– როგორც ამბობდი ქალაქის ცენტრში იყო, სამსახურისგან არც ისე შორს. იქ ისევ მუშაობ? არასოდეს მომწონდა ის სამოდლო სააგენტო. უაზროდ ჩახატული ქალები. კოსმეტიკის, ტუჩსაცხის, წინდების, სუნამოს და სარეცხის საშინელი სუნი იდგა. სინთეტიკა იყო გამოფენილი საკიდზე (მცირე პაუზა) ხომ გახსოვს შენი წარუმატებელი სიყვარულის ამბის მერე მოხდა: აბორტი, დეპრესია, უძილობა, წამლები–ყველანაირი. გახსოვს?

ფერადი პატარა ბოთლებით სავსე ჯიბეები. შესაძლოა ახლა არ არის შესაფერისი დრო ამ ყველაფრის გასახსენებლად, მაგრამ სწორედ ის პერიოდი იყო გადამწყვეტი ჩემთვის. არ ვხუმრობ. ვერც იმ ბინის ყიდვას მოაბი თავი და ვერც სხვისას, რადგან ისევ სიყვარული გეწვია. ბედნიერი ვიყავი. ნამდვილად. მიუხედავად იმისა, რომ შენი რჩეული არასოდეს მინახავს, მახსოვს ამბობდი, რომ მე გიყვარდი ყველაზე მეტად, შენი ერთადერთი ძმა. ჩუმად მეცინებოდა მის პროფესიაზე, ასაკზე და ჰობზე. შენ კი ამბობდი მოგეწონებაო. გონებაში მუდამ ეჭვები მიტრიალებდა. ხალხს ყოველთვის ძალიან ენდობი. განსაკუთრებით მამაკაცებს. (მცირე პაუზა) სიმპათიურ მამაკაცებს, რომლებსაც სასიამოვნო სუნი ასდით, კარგი მანერები აქვთ და თმას ივარცხნიან. მაღალი კლასის წარმომადგენლები. (მცირე პაუზა) დამპირდი, რომ სესხს გამოიტანდი და ჩემს ვალს დამიბრუნებდი. უსიამოვნო, საზარელი ვალი ულვეი წარუმატებლობა რომ მოგვიტანა. მერე გაქრი. (მცირე პაუზა) ჩემთან ცოტა ხნით დარჩენაზე უარს ამბობდი, ის ბინაც ვერ შეისყიდე. არასოდეს აიძულებდი საკუთარ თავს ამ თემაზე რომ გელაპარაკა. თითქმის ყოველ საღამოს, რამოდენიმე თვეში ერთხელ შენთან დარეკვას ვცდილობდი, სწორედ იმ დროს სამსახურიდან სახლში რომ ბრუნდებოდი. არასოდეს პასუხობდი ჩემს ზარს. (მცირე პაუზა)

კლარა, კლარა (მცირე პაუზა) დიდი დრო გავიდა რაც არ მინახიხარ.

(პაუზა)

(საკუთარ თავს ამშვიდებს. თითქოს საკუთარ თავს ესაუბრება)

დღეს არაფერი მიჭამია. (მცირე პაუზა) თითქოს სანაგვედან ამოვათრიე.

მოიცადე. არ გათიშო. (მცირე პაუზა) უნდა გავერკვე. ლოგიკურად უნდა მივყვე მოვლენების თანმიმდევრობას. (მცირე პაუზა) არის რაღაც რასაც ვერაფერს შევადარებ და ძილში ქრება ყოველთვის. გგონია მცირე დეტალია, მაგრამ ისე უმიზეზოდ მღრღნის, მოსვენებას არ მამღვეს. შენი სურათი ადრე რომ მომეცი (მცირე პაუზა) ჩემი მერხიდან გაქრა. მერე ვიფიქრე (მცირე პაუზა) არა, არ გადამიგდია, გაბრაზებულ გულზეც კი. (მცირე პაუზა) მიყვარხარ, კლარა. შენც ხომ იცი... (პაუზა)

(თითქოს თავის თავს ელაპარაკება) რა საყვარელი ფოტოა. ძალიან ლამაზი. სკოლა ახლახანს დაამთავრე, მაღალი ხარ, ღია ფერის თმა გაქვს. ეჭვიც არ მეპარება, რომ დიზაინერი იქნები. ჩვენი საყვარელი ფოტო ატელიეს წითელ ფონზე მამას ხელში ჰყავხარ აყვანილი. ძალიან ბედნიერები ხართ. ახალდაქორწინებული წყვილივით, ცოტა შამპანური რომ აქვთ დალეული. მართლა. (მცირე

პაუზა) მამას საყვარელი შვილი იყავი ყოველთვის. მე არასოდეს.... შენც ხომ იცი, შენ ყველაფერი იცი (მცირე პაუზა) ყოველთვის ვგრძნობდი ამას, არც ცდილობდა გამოსწორებას. არ ვიცი რატომ. ვერც ვერასოდეს მოვახერხებ ამის გარკვევას. შესაძლოა არც არის საჭირო. (მცირე პაუზა) გახსოვს სასკოლო ცეკვაზე გვიანობამდე რომ დავრჩით, მერე მე ერთი გოგოს სანახავად რომ წავედი. შენი მეგობარი იყო. ნუთუ არ გახსოვს? ჩაი დავლიეთ, მუსიკას მოვუსმინეთ და ვილაპარაკეთ. კარგი, ყურადღებას ნუ მომაქცევ. შუალამე იყო უკან რომ დავბრუნდით, შეუდარებელი ივნისის ღამე, სავსე მთვარე იყო და ოდნავი ნიავიც არ ქროდა. სახლში ფეხშიშველები ავედით, თითისწვერებზე, მაგრამ მაინც გაგვიგეს. საძინებლის კარი ღია ჰქონდა და მკრთალ სინათლეზე მისი ველური სახე ირეკლებოდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. გახსოვს? შენთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, პირდაპირ გამარტყა სახეში. პირველი და უკაასკნელი იყო. არასოდეს მიპატიებია მისთვის. არასოდეს. ჩემს ძალებს აღემატებოდა. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ მისდამი სიყვარულის ყველანაირი გრძნობა გამიქრა. ჭურჭელი სადაც ამ გრძნობას ვინახავდი ერთიანად დაიმსხვრა, ქვიშაში უგზოუკლოდ ჩაიკარგა ნამსხვრევები (მცირე პაუზა) მხოლოდ დედა მიყვარდა. დედა. ახლა საბოლოოდ ვაღიარებ, რომ მისი ერთადერთი სიყვარული ვიყავი. არ მკითხო რატომ, არ გეტყვი. თუმცა შენ იცი, შე ყველაფერი იცი. დიახ, დიახ. ფოტო.

(პაუზა)

ის ფოტო ჩემს მაგიდის უჯრაში იდო, ძალიან ძირში მიმაღული და ერთხელაც როცა რაღაც დოკუმენტებს ეძებდა, ჩვენმა დიადმა აღმასრულებელმა იპოვა და მკითხა:

ვინ არისო ეს ფისო? შენი ფისოა? იცი, არც ისე ცუდად არ გამოიყურება.

(პაუზა)

ვუპასუხე კლარაა თქო ჩემი პატარა და და არც არაფერი მიეჭვია (მცირე პაუზა) ფოტოს მეორე მხრიდან შენი მისამართი ეწერა

(პაუზა)

როგორც ჩანს ერთი ნაქირავები ბინიდან მეორეში გადახვედი და ერთ საღამოს შემოიარეო მეუბნებოდი. გინდოდა თავი მოგეწონებინა ძირადღირებული დანიური სტილის ავეჯით, კრედიტით რომ გქონდა ნაყიდი. ბავშვობაში თითქმის მასეთი გვექონდა. ყავისფერი, ნამდვილი ტყავის, უზომოდ კომფორტული. ადგომა აღარ გინდოდა, რომ ჩაჯდებოდი. (მცირე პაუზა) კარგი დრო იყო სანამ ვიჩხუბებდით. სამი წლის მანძილზე კონტაქტი არ გვექონია, კლარა. ახლა ხვდები ამას? არასოდეს აგიხსნია რამე, სიტყვა არ გითქვამს. ნათელი იყო ჩემთვის არაფრის თქმა არ გინდოდა. ვგრძნობდი, რომ დიდი ხანია აღარ გქონდა ეს დამპალი ფული. თუმცა ახლა ამის დრო არ არის. (მცირე პაუზა)

და უცებ სურათი გაქრა, თითქოს არც არასოდეს არსებობდა. ვერ გავბედე დიადი აღმასრულებლისთვის მეკითხა რამე. დარწმუნებული ვარ მას არ აუღია. რატომ უნდა აეღო? შესაძლოა ვინმე ბრალმდებლის დოკუმენტებს გააყოლეს, მაგრამ უკან რატომ აღარ დააბრუნეს? შესაძლოა მერე იმ ბრალმდებელს თავის მაგიდაზე დარჩა ეს ფოტო და ათასში ერთხელ უყურებდა ხოლმე შენს ღიმილს.

(პაუზა)

მითხარი ეს რა გაქვს? საშიშია?

(პაუზა)

ახლა უკვე აღარ?(მცირე პაუზა) კომის შედეგი არაპროგნოზირებადია? არადა მტკიცე ხმა გაქვს. სუმბულები. თეთრი, თავბრუდამხვევი ყვავილები. ხუმრობ?

(პაუზა)

მოიცა; შენი აზრით დიადი აღმასრულებელი საიდან არის? (მცირე პაუზა) კი მაგრამ ხომ თქვენი არასოდეს მინახავსო! (მცირე პაუზა) მიპასუხე! ჩუმიად არ უნდა იყო! გეკითხები! (მცირე პაუზა) შენს წინ, საწოლზე პატარა ალბომია სავსეა თქვენი სურათებით მოგზაურობის დროს რომ იღებდით. ასევე წარწერით არის მოკაზმული “სინდისის ნათება”? არაფრის მთქმელია (მცირე პაუზა) თუმცა ეს ხომ დიადი აღმასრულებლის სააგენტოს სახელია! ახლა, გასაგებია საიდან გქონდა ჩვენი ნომერი!

(პაუზა)

არა? რას გულისხმობ როცა ამბობ არას?

(პაუზა)

დიდი ხნის მანძილზე იცნობდი? (მცირე პაუზა) როგორ მიხარია აქაც ჩემი დიადი აღმასრულებელი რომ მონაწილეობს.

(მცირე პაუზა) კიდევ ერთი კადრი. სხვა ქალი. ქალი (მცირე პაუზა) კლარა, ჩემი ერთადერთი და განუმორებელი. (მცირე პაუზა) თავისი ოფისის გახსნაზე, ტვინს მიბურღავდა: თავისი მოსაწყენი ისტორიებით, თუ როგორ ინახავს სარდაფში ქალის კოლეგის კოლქციას. არასოდეს მქონია სურვილი ბევრი რამ მცოდნოდა ქალის საცვლების შესახებ. თავს ვაჩვენებდი, რომ ყურადღებით ვუსმედი.

რადგან ის არის მთავარი, მე კი მისთვის ვმუშაობ. (მცირე პაუზა) შენი საცვალაც არის მის კოლექციაში? ო, ღმერთო! ჩვენი აღმასრულებელი პირი! კლარა! (მცირე პაუზა) (ამშვიდებს საკუთარ თავს)

რას ნიშნავს ეს ყოველივე?

(პაუზა)

იქნებ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა და მეტი არაფერი. რაღაც შეცდომაა ან შენი ფანტაზიის გამოგონილი ხრიკი. ბოლოს და ბოლოს შენმა ტვინმა კანტუზია გადაიტანა (მცირე პაუზა) ჰალუცინაცია არ გქონია? ხახვის გამყიდველი მოხუცი ქალების დაცვის მცდელობები. გადაგვარებული სამყაროს გამოკეთების მცდელობა. დონ კიხოტის ამბავს რომ მიყვებოდი. პრინცესა როგორ იქცა გომბეზოდ.

რა ხარ ასეთი... შეწყვიტე, მოსვენებას მიკარგავს. ექიმს დავუძახო? არა? ყველაფერი რიგზეა? დარწმუნებული ხარ?

(პაუზა)

დიახ, რა თქმა უნდა. ისევ გულახდილად (მცირე პაუზა) სამი წლის მანძილზე მეგობრობდით შენ და ის დამხმარე ვეკილი, ანგელოზს რომ ჰგავს? (მცირე პაუზა) და გუშინ ქალ ექიმს სთხოვე რომ მისი წერილი გამოეგზავნა ჩემს მისამართზე? ის რა, წერილებს გწერდა? ღმერთო ჩემო! (მცირე პაუზა) მდიდრული რესტორნები?

(მცირე პაუზა) ერთად სეირნობა? ზღვაზე ერთად დასვენება? (მცირე პაუზა) დასვენების დღეები ლონდონში? დარწმუნებული ხარ რასაც ამბობ? რაღაც იაფფასიანი რომანის სუნი უდის ამ ამბავს, სერიალის.

(პაუზა)

(ნებდება)

დიახ, ეს ყველაფერი შედარებით იაფია. დიახ, იაფი. გამოდის, რომ ის იყო შენი საიდუმლო საყვარელი. დარმუნებული, რომ ვიყავი მეც მომეწონებოდა.

(პაუზა)

დიახ, ცოტა შევმსუბუქდი, მადლობა. ნუთუ ეს შესაძლებელია?

(პაუზა)

შესაძლოა?

(პაუზა)

ბოლო პერიოდში მოუსვენრობა დამჩემდა. შენგან ერთი სიტყვაც არ მიმიღია, ერთი სიტყვა და ისე მეგონა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. შენი სამსახური გქონდა, ჩვეულებრივი ცხოვრება, როგორც ყველას. ჭკუასუსტ და უტვინო მანეკენებს ტანსაცმელს უკერავდი. და დაგვიწყებოდა, სულ აღარ გახსოვდა შენი ძმა, შენი საკუთარი ძმა, რომელმაც ყველაფერი მოგცა რაც გააჩნდა. ყველაფერი. მხოლოდ ერთადერთი რამ დამჩენოდა, აღმასრულებელი პირი. ისიც წასულია უკვე.

(პაუზა)

ჩვენი დიადი აღმასრულებელი. კიდევ ვერ ვიჯერებ. ვერ ვახერხებ. არადა, შესაძლოა დროისთვის გაეძლო. რომ მცოდნოდა, ოდნავ მაინც რომ მივმხვდარიყავი.

(პაუზა)

შავი ხალი მაჯვენა წარბზე? ნისკარტივით ცხვირი? ღია ყავისფერი თმა? ლოლოსავით ცივი, საუცხოოდ მოლიპული თვალები. განსაკუთრებით მზის შუქზე (მცირე პაუზა) დიახ, ეს ისაა. ისაა (მცირე პაუზა) იშვიათია ასეთი ლამაზი თვალები

(პაუზა)

საუცხოოა, არა?

(პაუზა)

(თავისთვის)

აღმასრულებელთან იწვა. ჩემი აღმასრულებელი პირია. ღმერთო ჩემო! მასთან იწვა და სჯიდა კიდევ საბრალოს? არა, არა. არავის ვალი არ ექნებოდა, ჩემს გარდა. მხოლოდ მე მქონდა მისი დასჯის უფლება, მხოლოდ მე. (მცირე პაუზა) გამუდმებით მასთან იწვა. მე მარტო დამტოვა. მიმატოვა (მცირე პაუზა) სიყვარულს ამყარებდა მასთან! შესაძლოა უყვარდა კიდევ! ღმერთო ჩემო! (მცირე პაუზა) არა! გამარჯობა!

(მცირე პაუზა) გამარჯობა! კიდევ აკ ხარ? (მცირე პაუზა) მისი სხვა ქალებისთვის მიწერილი წერილები იპოვნე?

როგორც ამბობ ფულს ყოველთვის ადვილად შოულობდა გულუბრყვილო ადამიანებისგან და სხვა ქალებთან მიწერილი წერილები ახე? (მცირე პაუზა) გამთვრდა... გინდა თქვა, რომ....

(მცირე პაუზა) ამის მერე გადაგდო? ფაქტიურად, ხელი გკრა? შენ კიდევ გეგონა, რომ აივანზე საკონცლად გაგიყვანა? (მცირე პაუზა) რატომ? შენი გაჩუმება უნდოდა? რა გაუკეთე ასეთი? შენ ხომ ჩემი კლარა ხარ, ჩემი და, რომელიც არავისთან ვყოფილა ვალში. ჩემს გარდა.

(პაუზა)

ველარ მელაპარაკები, გადაიღალე ხომ? კი, მესმის შენი. მეც, მეც გადავიღალე.

(გრძელი პაუზა)

(ყვირილი) კლარა, შეგიძლია გააცნობიერო ის რაც ჩაიღინე?

(პაუზა)

კლარა, ჩემო საბარლო კლარა. საწყალი აღმასრულებელი. საავადმყოფოდან უნდა წავიდე დაუყოვნებლივ.

ცოტა ხნით დამელოდე, მომიცადე.

(პაუზა)

არ შემომიშვებ? კი, მაგრამ მე შენი ძმა ვარ. კვლავ შენი ძმა ვარ (მცირე პაუზა) ძმა.

(პაუზა)

ზუსტად სამ საათზე ვიქნები (მცირე პაუზა) მოიცა, ვიღაც ალებს კარებს. შეიძლება დამლაგებელია. არა, ასე ადრე არასოდეს მოდის ხოლმე. მგონი ის აქ არის, ჩემი აღმასრულებელი პირი (მცირე პაუზა) კი, ის არის. უკაცრავად

(ყურმილს ახეთქებს. ყურმილში გაბმული ზარის ხმა ისმის, ნელ-ნელა ყუჩდება, ბოლოს დუმს)

ე.ი. მოხვედი, ბატონო. გამარჯობა, გამარჯობა. ხვალ პარასკევია, როგორც გჩვევიათ მოხვედით თქვენი მსხვერპლის პირადად გასაცნობად. ცოტა უხეშად გამომივიდა, მაგრამ აუცილებელია. სიტყვისგან შეიქმნა სიცოცხლე. სიტყვამ მოიტანა უბედურება. სასიკვდილო სიტყვა, რომელიც დაუნდობელია, მაგრამ არა ამჯერად. უნდა გაიგოთ. ყველაფერი დაგვარგე, ცხვარიც აღარ მყავს, არც სულბუნები. აღარაფერი დამრჩა. აღარაფერი. ზღვისპირა პატარა ქოხზეც, რომ აღარაფერი ვთქვა. არაფერს წარმოვადგენ, მხოლოდ რწმენა დაკარგული მსხვერპლი ვარ. ასე, რომ... (მცირე პაუზა) დოკუმენტები მოვამზადე. თქვენს მაგიდაზეა. წლების მანძილზე თქვენს ჩვევებს ვაკვირდებოდი. ვიცი, როდესაც კართან მოხვალთ, სახელურს ჩამოკრავთ ხელს. ისიც ვიცი თუ როდის შეუთანხმდებით მოსამართლეს ახალი აუქციონის შესახებ. და აგრეთვე ისიც ვიცი, რომ ნახევარფასში ყიდულობთ ყველაფერს რასაც იმ დღეს შემოგთავაზებენ გასაყიდად. არა, არა მე არ გაკრიტიკებთ, არც თქვენს საქციელს განვიკითხავ. უბრალოდ, ძალზედ კარგად გიცნობთ. ვიცი როდის სვამთ ყავას, როდის გადაიხედებით ფანჯრიდან. ვიცი როდის იტვით ჩემი მისამართით ერთი-ორ ზრდილობიან ფრაზას. როდესაც სახეს მომაშორებთ, კედელს მიაშტერდებით რაღაც დროის მანძილზე თითქოს იქ რაღაც დიდებულს ეძებთ. ვიცი, ვიცი ყველა მცირე დეტალი თქვენს შესახებ (მცირე პაუზა) როგორ ყოველთვის გემოვნებიანი მდიდარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, ჯიბეები მუდამ ფულით რომ აქვს სავსე და რაღაც თქმა უნდა ლამაზი გოგონების ფოტოები, მისამართებით უკან. რა თქმა უნდა თქვენთვის მიმზიდველი არ იქნებიან ჩვენი ცხენის სახიანი მოხუცი კლიენტები, დაბალი ხარისხის სილიკონით, რომ შეუკეთებიათ მკერდი. არა, არც მათი სურათები გამოგადგებათ, არა? ალბათ, ჩემი მაგიდიდან აღებული ფოტოც აღარ არის თქვენი საკუთრება, არა? დიახ, რა თქმა უნდა ეს სიმართლეა. სულბუნებმა თავისი სურნელება დაკარგეს და რაღაც თქმა უნდა თქვენ არასოდეს ცდებით, არასოდეს (მცირე პაუზა) ასეა ყველაფერი, არა?

(მცირე პაუზა) კვირის ბოლოს დასასვენებლად მთაში წახვალ თუ ზღვაზე? თუ აქვე სოფელში წახვალ, სადაც სუფთა წყალი მოჩუჩუხებს, ტყე დაბინძურებული არ არის, შორს ხარ ცნობისმოყვარე ადამიანებისგან, განმარტოვებით ისვენებ. (მცირე პაუზა) ასეთ დიდებულ დროს ალბათ უფლებას მომიცემ რაღაც პირადული კითხვით მოგმართო (მცირე პაუზა) ვნინე ახალ

გოგონას არ წაიყვან შენთან ერთად? გასართობად. ახალი გოგო, ცოცხალი! (მცირე პაუზა) შესაძლოა ქერათმიანი აღმოჩნდეს. კიდევ ერთი ქერა შენი კოლეჯისთვის, რომელიც ამჯერად სუმბულებს აღარ გაგახსენებს. თეთრი, სურნელოვანი ყვავილები. კი მაგრამ შენ არ იცი, არ იცი რა არის სიყვარული, ნამდვილი სიყვარული! არ იცი! უბრალოდ, არ იცი. მესმის, ძალიან ცუდია იქ დასახმარებლად რომ არ გეყოლება სასამართლო პალატის ხელისუფალი, არც მოსამართლე ან თუნდაც რიგითი ვექილი. არცერთი თქვენი კოლეგა ვინც ნადირობაში ან აუქციონზე დაგეხმარებათ. მხოლოდ თქვენი მშობლები გამოიტანენ მსჯავრს. (მცირე პაუზა) უთხარი კლარას, უთხარი რომ ვაპატიე. ამაზე ფიქრი აღარ მოუწევს. უთხარი აღარ იფიქროს. (მცირე პაუზა) შენ კი, ასეთი დამხმარე აღარასოდეს გეყოლება.

(მცირე პაუზა)

(გასროლის ხმა)

(ბინდში მოძრავი ფიგურები ჩანს. ჭრაჭუნაბორბლებიანი საავადმყოფოს საკაცე მოძრაობს)

სიბნელიდან ისმის უცხო ხმა: გამარჯობა. პროცედურაა. აქ არ არის. ორშაბათიდან ხუთშაბათამდე. დიახ, დიახ. არა, არა. უბრალოდ დარეკეთ. მე? მე ახალი ასისტენტი ვარ.

დასასრული.

პოსტსაბჭოთა დრამატურგია კავკასიაში

ელჩინ ჯაფაროვი

აზერბაიჯანული თეატრის დაბრუნება საკუთარ ფესვებთან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ძირითადი ტენდენციები დრამატურგიაში

აზერბაიჯანის კულტურის თვითმყოფადობა არის ის, რომ ზოგიერთი უძველესი კულტურულ-ფსიქოლოგიური ფენომენი დღესაც შემორჩენილია თითქმის ხელშეუხებელი ფორმით ჩვენს თანამედროვე კულტურულ და პროფესიულ მენტალიტეტში. ასეთია აშუქის ხელოვნება, მუღამი და ხალხური მუსიკა, რომელმაც თავისი განვითარების ათასი წლის მანძილზე და შინაარსობრივ, ვერბალურ-გამოხატულებით დონეზე შემოინახა ისტორიული წყაროები და ტრადიციები. ხელოვნების ეს კლასიკური ფორმები, რომელსაც საკუთარი სტილი და კონცეფცია გააჩნია, შეადგენს აზერბაიჯანული აზროვნების მთავარ ბაზას ეროვნულ ხელოვნებაში. მათ გავლენა იქონიეს ეროვნული თეატრის სტილსა და გამოცდილებაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მთლიანად და სისტემატურად განსაზღვრული. ამის დასადასტურებლად საჭიროა რაიმე მტკიცებულება. ჯერ ერთი, ჩვენი თეატრალური აზროვნება არ გამოჩენილა შემოქმედებით სიცარიელეზე და ობიექტურად, დაფუძნებულია ამავე კულტურულ ტრადიციებს. მეორე, ერთ კულტურაში შეუძლებელია მასიური რაოდენობის განსხვავებები, რომლებმაც ვერ გადალახეს შემოქმედებითი მექანიზმები და ეთნო-ფსიქოლოგიური სქემები. ეროვნული ხელოვნების სტრუქტურული, ტიპოლოგიური, გენეტიკური, ესთეტიკური და მხატვრული ანალიზი ავლენს მათი ერთიანი ან მსგავსი სტრუქტურის პრინციპებს. გაერთიანებული ეთნო-კულტურული და ფსიქოლოგიის წყაროები, საერთო გამოხატვის სისტემა და ლექსიკა, მსგავსი ფორმალური